

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო

დადგენილება №4

2013 წლის 28 თებერვალი
ქალაქი ბათუმი

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. დადგინდეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

- ა) 1 დღე - 10 (ათი) ლარი;
- ბ) 7 დღე - 20 (ოცი) ლარი;
- გ) 30 დღე - 30 (ოცდაათი) ლარი;
- დ) 182 დღე - 45 (ორმოცდახუთი) ლარი;
- ე) 365 დღე - 60 (სამოცი) ლარი.

(ცვლილება 2020 წლის 25 თებერვალი, დადგენილება №15)

2. დადგინდეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ტაქსების პარკირების ადგილებით (პარკირების სპეციალური ადგილები) სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

- ა) 10 დღე - 10 (ათი) ლარი;
- ბ) 20 დღე - 20 (ოცი) ლარი;
- გ) 30 დღე - 30 (ოცდაათი) ლარი.

3. დადგინდეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკომეტრების განთავსების ადგილები, თანახმად დანართისა.

4. დადგინდეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკომეტრებით აღჭურვილი პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

- ა) 1 საათამდე პერიოდი - 50 (ორმოცდაათი) თეთრი;
- ბ) 2 საათამდე პერიოდი - 1 (ერთი) ლარი;
- გ) ყოველი შემდეგი 01 (ერთი) საათი - 1 (ერთი) ლარი.

4¹. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე თბილისის მოედანი განისაზღვროს პარკომეტრით აღჭურვილ პარკირების საერთო ადგილად (დანართი №1) და დადგინდეს პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

- ა) 1 (ერთი) საათი - 1 (ერთი) ლარი;
- ბ) ყოველი შემდეგი 1 (ერთი) საათი - 1 (ერთი) ლარი.

4². ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე თბილისის მოედანზე გამოიყოს 6 (ექვსი) ერთეული ადგილი მსუბუქი ტაქსის პარკირებისათვის და დადგინდეს მათთვის პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასური 5 (ხუთი) ლარის ოდენობით დღის განმავლობაში.

4³. დადგენილების 4¹ და 4² პუნქტებზე არ ვრცელდება ამავე დადგენილების მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

(ცვლილება 2018 წლის 16 მარტი, დადგენილება №30)

(ცვლილება 2018 წლის 29 მაისი, დადგენილება №44)

5. ზამთრის პერიოდში (15 ოქტომბრიდან 31 მაისის ჩათვლით) 19 საათიდან 09 საათამდე მონაკვეთში პარკომეტრებით აღჭურვილი პარკირების საერთო ადგილებით მოსარგებლე პირი თავისუფლდება პარკომეტრებით აღჭურვილი პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობის საფასურის გადახდისაგან. მოცემულ შემთხვევაში პარკომეტრებით აღჭურვილი პარკირების საერთო ადგილებით მოსარგებლე პირი არ თავისუფლდება ამ დადგენილების პირველი პუნქტით პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობის საფასურის გადახდისაგან.

6. ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად პარკირების საფასურის გადამხდელი თავისუფლდება დადგენილების მე-4 პუნქტით დადგენილი პარკომეტრებით აღჭურვილი პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობის საფასურის გადახდისაგან. ამ დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად პარკომეტრებით აღჭურვილი პარკირების საფასურის გადამხდელი თავისუფლდება დადგენილების პირველი პუნქტით დადგენილი პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობის საფასურის გადახდისაგან, გარდა დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

7. სატვირთო ავტომობილებისა და სპეცტექნიკისათვის თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების ადგილებით (პარკირების სპეციალური ადგილები) სარგებლობისათვის საფასური დადგინდეს დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ა) 1 დღე - 3 (სამი) ლარი;

ბ) 30 დღე - 30 (ოცდაათი) ლარი;

გ) 182 დღე - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი;

დ) 365 დღე - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი;

8. პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის გადახდილი საფასურის ვადის ამოწურვამდე ამ დადგენილების პირველი, მე-2 და მე-7 პუნქტის შესაბამისად პარკირების საფასურის წინასწარ გადახდის დღედ მიიჩნევა ანგარიშსწორების განხორციელების დღე, ხოლო მისი აქტივაცია (ვადის ათვლა) მოხდება წინა პერიოდის პარკირების საფასურის ვადის ამოწურვის შემდეგ.

9. პარკირების საფასურის გადახდა განხორციელდეს ოპერატორის მიერ შერჩეულ კომერციულ ბანკში ან/და ელექტრონული გადახდის საშუალებებით.

10. ამ დადგენილებით დადგენილი პარკირების საფასურის ამოღებას ახორციელებს პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი. პარკირების საფასური ირიცხება პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე და წარმოადგენს მის საკუთრებას.“.

(ცვლილება 2018 წლის 18 იანვარი, დადგენილება №2)

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 21 ივნისის №34 დადგენილება.

12. პირებს, რომლებსაც წინამდებარე დადგენილების ძალაში შესვლამდე გადახდილი აქვთ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასური გადახდის დროისათვის დადგენილი ოდენობითა და წესით, წინამდებარე დადგენილების შესაბამისად პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის გადახდაზე ვალდებული არიან გადახდილი საფასურის ვადის ამოწურვის შემდეგ.

13. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.